29
1919

ფასი

კლდე

კვირა,
იანვარის 26.
(იანვარის 13).
1919 წელი.

№ 16.

ფასი 50 კაპ.

დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

22/III 46 ეცალი
№ 29

ყოველ-დღიური
ფასი
გაზეთი **კლდე**

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით
გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი,
ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10
საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარგასლაშია, სასახლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—81.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები

რ. გაბაშვილი. „კლდე“ და „საქართველო“. ფელეტონი. სოციალისტური რესპუბლიკა.

ცნობები.

მოკავშირეთა სახელმწიფოში რუსეთის თათბირს აწყობენ პრინცის კუნძულებზე მარმარილოს ზღვაში)

ხომხები ევროპაში საქართველოზე ცრუ ხმებს ავრცელებენ

ჰამბურგში სპარტაკელთა ამბოხებაა

მოკავშირენი პეტროგრადს ემუქრებიან.

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (გაზეთ „კლდის“ მიმართულება) საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და ქალაქ თფილისის საბჭოს არჩევნებში გამოდის

„საქართველოს ეროვნული პარტიის“ სიით

№ 8

სია № 8

„საქართველოს ეროვნული პარტიისა“

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგისძე; **პარლამენტის წევრი, გაზეთ** „კლდის“ რედაქტორი.
2. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს; ძე პარლამენტის **წევრი; განათლების** კომის. **წევრი,**
3. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის **წევრი;** სამხედრო **კომისიის წევრი.**
4. **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; **პარლამენტის წევრი, გზათა** კომისიის **წევრი.**
5. **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე; **პარლამენტის წევრი, აგრარულ** კომისიის **წევრი.**
6. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, **პარლამენტის ყოფ. წევრი.**
7. **ცაგარელი** ალექსანდრე ანტონის ძე; **პროფესორი.**
8. **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თედორეს ძე; **მრეწველი.**
9. **გაბაშვილი** ნიკოლოზ **სოლომონის** ძე; **ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.**
10. **ორბელიანი** გიორგი ილიას ძე; **გენერალი.**
11. **ლორთქიფანიძე** ნიკოლოზ მერაბის ძე; **ლიტერატორი.**
12. **ჯანდიერი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; **ექიმი.**
13. **ელიავშვილი** ივანე სპირიდონის ძე; **ექიმი.**
14. **კაპანელი** (პანტურაია) **კონსტანტინე** გრიგოლის ძე; **ლიტერატორი.**
15. **ეკალაძე** ია. (ცინცაძე) **იაკობ** თომას ძე; **ლიტერატორი.**
16. **ღოლობერიძე** დავით სიმონის ძე; **კოოპერატორი.**
17. **კელენჯერიძე** დავით ბესარიონის ძე; **პედაგოგი.**
18. **ციციშვილი** ივანე გიორგის ძე; **მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.**
19. **ოშხნელი** მიხეილ ნიკოლოზის ძე; **ექიმი.**
20. **ღუდუშაური** ბართლომე; **ძღვდელი.**
21. **იაშვილი** მიხეილ ჯიბრაელის ძე; **ექიმი.**
22. **ჩოლოყაშვილი** სოლომონ მიხეილის ძე; **აგრონომი**
23. **ივანიცკი** ტარასი; **დეკანოზი.**
24. **მამრაძე** გიორგი გრიგოლის ძე; **ლიტერატორი.**
25. **სიდამონ-ერისთავი** ვალერიან; **მხატვარი.**
26. **ნიჟარაძე** რაფაელ; **პედაგოგი.**
27. **კიკაბიძე** ლადო სპირიდონის ძე; **სტუდენტი.**
28. **პირველი** მიხეილ; **მეურნე.**
29) **მგალობლიშვილი** ივანე პაოლოს ძე; **ბუხჰალტერი.**
30. **ქასრაშვილი** კსენეფორე ნიკოლოზის ძე; **მეურნე.**

სია № 8

«საქართველოს ეროვნული პარტიისა»

თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

1) **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგისძე; **„კლდის“ რედაქტორი.**

2) **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე; **პარლამენტის** წევრი; **სამხედრო** კომისიის **წევრი.**

3) **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე; **პარლამენტის** წევრი; **განათლების** კომისიის **წევრი.**

4) **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; **პარლამენტის** წევრი; **გზათა** კომისიის **წევრი.**

5) **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე; **პარლამენტის** წევრი; **აგრარულ** კომისიის **წევრი.**

6) **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე; **პარლამენტის** წევრი; **ყოფ.** ექიმი.

7) **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თედორეს ძე; **მრეწველი.**

8) **გაბაშვილი** ნიკოლოზ **სოლომონის** ძე; **ინჟინერ-ქიმიკოსი; კომერსანტი.**

9) **ციციშვილი** ივანე **გიორგის** ძე; **„მიწის მესაკუთრეთა კავშირის“ გამგეობის** წევრი.

10) **ოშხნელი** მიხეილ **ნიკოლოზის** ძე; ექიმი.

11) **მამრაძე** **გიორგი** **გრიგოლის** ძე; ლიტერატორი.

12) **მგალობლიშვილი** ივანე **პაოლოს** ძე; **ბუხჰალტერი**

13) **ერისთავი** **რევაზ** **იასონის** ძე; **მეურნე.**

14) **მაჩაბელი** **სოლომონ** **ვახტანგის** ძე; **მეურნე.**

15) **ჩოლოყაშვილი** **სოლომონ** **მიხეილის** ძე; **აგრონომი.**

16) **ცაგარელი** **ივანე** **ანტონის** ძე; **სახლის** **პატრონი.**

17) **კალატოზიშვილი** **კოტე** **ვასილის** ძე; **მეურნე.**

18) **ციციშვილი** **ალექსანდრე** **დავითის** ძე; **მეურნე.**

19) **ყავრიშვილი** **ნიკოლოზ** **იოსების** ძე; **აგრონომი.**

20) **იმნაიშვილი** **გერასიმე**; **პედაგოგი.**

21) **ნიჟარაძე** **რაფაელ**; **პედაგოგი.**

22) **კიკაბიძე** **ლადო** **სპირიდონის** ძე;

23) **სონღულაშვილი** **იროდიონ** **თომას** ძე; **მწერალი.**

თფილისი, იანვარის 26.

„კლდე“ და „საქართველო“.

ერთმა ჭკვიანმა ენამეტყველმა ინგლისელმა იოხუნჯა: ენამახვილობა ყოველთვის ჭკუის ნიშანი არ არისო და უკანასკნელი დროის „საქართველო“ ამას ნათლად ამტკიცებს.

სხვადასხვა სიტყვების შეხამებითა სცდილობს გააპატიოს ის გამოფიტული ნიადაგი, რომელიც დარჩა „ეროვნულ-დემოკრატიას“, მაგრამ საზოგადოება უკვე მიხვდა და ხალხიც მალე გაიგებს თუ რას წარმოადგენს ეს სხვადასხვა სპეკულიანტებისაგან ნასყიდი წრე. მკითხველმა საზოგადოებამ უკვე გაიცნო მისი ხელმძღვანელი „ჟერონტინას ზნეობრივი სიფაქიზე“, რაც გაუბათილებელი დარჩა და სამუდამოდ დარჩება და მალე უთუოდ სხვებისასაც ვნახავ ამ „პირველობის მაძიებელთა“ „პარტიაში“.

მაგრამ ვნახოთ ახლა არსებითად რას გვედავება ეს ხალხი. „პროგრამა და ტაქტიკა არა გაქვთო“, იმეორებენ იმ მოძველებულ, დაღეჭილ სიტყვებს, რომლითაც შეხვდა ყველა ჯურის სოციალისტი ჩვენს პირველ „კლდეს“ და შემდეგ „საქართველოს“, თითქო იმ პროგრამიდან, რომლის მარტო ფურცლებიდა დარჩათ „ეროვნულ-დემოკრატებს“, ერთი მუხლი მაინც ჩვენი ჯგუფიდან არ მიეღოთ ანდერძად. განსხვავება მხოლოდ ერთშია, რომ ამ ანდერძით ბოროტადა სარგებლობთ, ქვეყანას ატყუებთ, რომ ამ პროგრამაზედა სდგეხართ და ყოველ დღე, ყოველ გამოსვლაში მასა ჰყიდით ხან ერთ სპეკულიანტზედ, ხან მეორეზედ.

აბა რომელ პროგრამაში გიწერიათ ისეთი სულიერი ლაქიობა მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიის წინაშე, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ აგრარულ საკითხში. ერთერთი საარსებო ნიშანი ჩვენი შეერთებული პარტიისა იყო სწორედ იმ ეკონომიური პროგრამის ჯანსაღობა (აგრარული, მრეწველობითი, ფინანსიური და სხ.), რომლითაც ვებრძოდით „ბოგანოთა პარტიას“ და თქვენ დღეს ოფიციალურად უერთდებით გაზეთში და პარლამენტში სოციალ-დემოკრატიის იმ უმგვან კანონ-პროექტს, რომელთაც ერთი თვის წინად მიწასთან ასწორებდით. თქვენი ქიქოძე იმ კანონ-პროექტსაც კი უჭერდა მხარსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლითაც ოსებს, სომხებს, თათრებს და ბერძენ გლეხებს უპირატესობა ეძლევა ჩვენს ქართველ გლეხკაცობასთან ეს იყო ჩვენი საერთო პროგრამა? და ეს არის თქვენი ეხლანდელი? მაგრამ წინადაც და ეხლაც თქვენი მოქმედების ხაზი იმგვარად იკლაკნებოდა, თუ სად რას და ვის გამოგლეჯავდით არა პარტიის და ხალხის ინტერესით, არამედ კერძოდ იმისათვის, თუ ვინ ჩაიგდებდა დროებით ხელში სარედაქციო აპარატს და ჩვენს დგამსა.

კერძო საკუთრების პრინციპი აგრარულ საკითხში თქვენ ფაქტიურად უარჰყავით სოციალ-დ. კანონ-პროექტის მიღებით: ,,ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალ-დემოკრატებს შორის აგრარულ პროგრამაში აღარ არის არსებითი წინააღმდეგობა''-ო, სწერთ თქვენ გაზეთის № 14-ს მეთაურში და უთუოდ ესა გგონიათ თქვენი პროგრამა. და სიმტკიცისათვის იმოწმებთ იმ ბ-ნ ხომერიკის სიტყვებს, რომლის პარტიის ბელადმა იაფი კომპლიმენტებით გაჰყარა ორად ჩვენი პარტია. და საქმეც სწორედ ამაშია: თქვენ ისეთი სუსტნი აღმოჩნდით ამა ქვეყნის სიკეთეთა წინაშე, რომ როგორც წინად არ გეფიქრებოდათ რეალური ჯამაგირებისათვის ,,პირვანდელი პრინციპების, ღალატი, ისე ეხლა არ გეფიქრებათ—ფიქტიურ დაპირებათა წინაშე. მაგრამ სუსტს ადამიანს სუსტი მეხსიერებაც არ უნდა ჰქონდეს და არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ სწორედ პირველი წაჩოქების შემდეგ (ბ-ნ ირაკლი წერეთელის წინაშე) იყო, რომ პარლამენტში თქვენ შეგასხეს სპეკულიანტობის, მოღალატეობის და სხ. სახელები. მაშინ სოციალ-დემოკრატია მართალი იყო არა მარტო ფაქტიურად, არამედ ზნეობრივადაც გამარჯვებული გამოვიდა: შეგითათხათ პროტექტორები: დათეშიძე, ხოშტარია და სხვანი და თქვენი ლაქიობა გამოამზეურა.

თქვენ ეს დაგავიწყდათ (?) და დღეს აგრარულ საკითხში, ომის საკითხში ისევე იყოფით ს.-დ. გავლენით და რასაც სწერს მაგ ბ-ნი სპირიდონ კედია (,,ვერაგული ბავი''), მეორე დღეს ეთანხმებით ურცხვი ბოდიშებით, რასაც ამბობთ პარლამენტში—იმავე ბ-ნ კედიას -პირით და მთავრობას ზარსა სცემთ: „ეს ომი დამარცხებაა პოლიტიკური, სტრატეგიული, ზნეობრივი",—მეორე დღესვე შეშინებულნი სწერთ: ,,ეს ომი გამარჯვებაა პოლიტიკური, ზნეობრივი და სტრატეგიული''. ეს არის თქვენი ტაქტიკა, თქვენი პროგრამა? ამისთანა პროგრამას და ტაქტიკას, მართლაც არ ,,გამოაფურთხებს'' ბ-ნი რევაზ გაბაშვილი, თქვენი ესთეტიური ლექსიკონით რომ ვსთქვათ, რადგან ასეთ პოლიტიკურ აჯაფრანდაგს ვერ იპოვით ფურთხშიაც, რომელიც ერთგვარი შემადგენლობისაა, რაც უნდა იყოს.

და როდესაც ამის შემდეგ ბრძანებთ: ,,პირადათ ჩვენ (?) ამისთანა პროგრამა არც გვინახავს, არც წაგვიკითხავსო'' —ჩვენა გვჯერა, რადგან თქვენ მართლაც არა კითხულობთ ჩვენგან ნაანდერძევ პროგრამას და იმდენი პროგრამა და ტაქტიკა გაქვთ, იმდენი პარტია, რამდენიც ყურია თქვენს კომიტეტში.

მაგალითები გნებავთ: წაიკითხეთ რას სწერდა აგრარულ საკითხზე ბ-ნი ასათიანი და რასა სწერს ბ-ნი გერონტი ქიქოძე; რას ამბობს სპ. კედია, (რომელსაც თურმე გამოუცხადებია: მე თქვენთან მუშაობა არ შემიძლიანო და ჩამჯდარა თავის (ბესტში—სამეგრელოში) და რას ამბობს ქიქოძე; რას ამბობდა ბ-ნი გვაზავა თურმე მთავრობის კრებაზედ და რას პარლამენტში და სხ. და სხ.

მაგრამ უმთავრესი რჩება მაინც ის უტოფარი გასელა ,,ზნეობრივი სიფაქიზის'' რაინდის, რომლითაც გამოილაშქრა ჩვენზედ და თავისიანებზედ ბ-მა გერონტი ქიქოძემ. ეს იყო ბრალდება ავანტიურიზმში, რომლის ,,საბუთებს'' ასე წარა-მარა იხსენიებთ.

ერთხელ და საბოლოოდ აშკარად უნდა გამოცხადდეს ქართველი ხალხის წინაშე, რომ იმ ,,ავანტიურაში'' რომელში ასე ხელს აფათურებენ ეროვნული დემოკრატები,—მონაწილენი არიან დღევანდელი მისი მესვეურნიც: გ. გვაზავა, გერონტი ქიქოძე, შალვა ამირაჯიბი, ა. ასათიანი და ბევრი სხვაც.

მართალია, ჩვენ გავიგეთ, რომ გერონტი ქიქოძე დატუქსეს და დარაჯები მიუჩინეს რომ ზედმეტი არ წასცდეს ხოლმეო, მაგრამ რადგან ჩვენ არა გვჯერა რომ ეროვნულ ეროვნულ ეროვნულ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის მთავრობათა მიერ დანიშნულია თითო წარმომადგენელთაგან. მოკავშირეთა სარდლობის მეთვალყურეობით ხსენებულ წარმომადგენელთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებათა დროს რაიმე საკითხში, საკითხს სწყვეტს მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელი.

3. შემდეგს, დაბალ სოფლის ინსტანციას ირჩევენ ადგილობრივი მცხოვებნი.

4. სამართლის და ფინანსიური მოქმედების დეტალებს, ინსტრუქციას იმუშავებს სამაზრო კომისარიატი.

5. მმართველობის ხარჯებს თავს იღებს ინგლის-საფრანგეთის სარდლობა; ხოლო შემდეგში ანაზღაურებული იქნება იმ საელმწიფოს მიერ, რომელსაც გადაეცემა სადაო ხაზი.

ახალქალაქის მაზრის ადმინისტრაციის კონტროლი.

საქართველოს ადმინისტრაციას ახალქალაქის მაზრაში თვალყური ადევნოს მოკავშირეთა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიან ადგილობრივ სომხისა და მაჰმადიანთა წარმომადგენელნი.

რკინის გზის ხაზი ნეიტრალურს ზონაში.

რადგანაც ორთავე მხრით შეთანხმება არ მოხდა რკინის გზის ხაზის შესახებ ნეიტრალურ ზონაში, ამასთანავე სომხის მთავრობის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ეს საკითხი საგსებით გადასაწყვეტად მოკავშირეთა სარდლობას, თავმჯდომარის მიერ მიღებულ ინსტრუქციის თანახმად, დადგენილ იქმნა: რკინის გზის ხაზი ნეიტრალურ ზონაში გარდაეცეს საქართველოს რკინის გზის მმართველობას.

საფინანსო საკითხი.

ორივე მხარემ შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს:

ა) სომხები მონაწილეობას იღებს ბონების მესამე ემისიაში, რომლისგანაც 80 მილიონს იღებს.

ბ) უნდა გამოიცეს ამიერ კავკასიის ბონების მე 4-ე სერია, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ურთიერთ შეთანხმებით, რაც ეცნობება მოკავშირეთა მისიას.

გ) საკითხი 130000 მანეთისა, მოიხსნა კონფერენციის განხილვისაგან და გადაეცა საქართველოსა და სომხეთის მთავრობათა შეთანხმებებით გადასაწყვეტად, ხოლო თუ შეთანხმება არ მოხდა, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ მოკავშირეთა სარდლობის არბიტრაჟს.

—

ნიკოსები სულ მიდიან. ეს ფაქტი სანანურია ყველასათვის. ეს ხალხი ფიქრობს, რომ ისინი სხვებზე უკეთესნი არიან და ამიტომ ვერ მოუნელებიათ ისე რომ იმათ და უბრალო პატიოსან მუშას ერთი და იგივე ხელფასი ეძლევათ. მართალს სწერდა ბებელი: ,,ვინც როგორი არ უნდა იყოს, იგი საზოგადოებამ შექმნა საერთო იდეა—პროდუქტია შექმნილი ჟამთა ვითარებით კერძო პიროვნების თავში''.— მართლაც უწინდელ საზოგადოების ჟამთა ვითარება დიდხანს მცდარის გზით მიმდინარეობდა. აქედან წარმოსდგა ასეთი გადიდების მანია.

მაგრამ როდესაც ახალგაზრდობა ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ სასწავლებლებში მიიღებს აღზრდას და იქ კეთილშობლურის პატივმოყვარეობათ განიმსჭვალება თელი თავისი ძალა საზოგადოებას შესწიროს, მაშინ ჩვენ შეგვეძლება იმ არისტოკრატების უმისოდაც იოლად წავიდეთ. მანამდე კი მათი წყეული მოვალეობა გერმანიაში დარჩნენ.

მხოლოთ ამიტომ შეიძლება მოვინანოთ გადასახლების საწინააღმდეგო კანონის სასტიკად გამოყენება. ამისთვის საჭიროების ძლიერი თვალყურის დევნება საზღვრებზე, სახელდობრ ზღვის ნაპირებსა და ხმელეთსა და შვეიცარიის საზღვართან. რათა მოეწყოს ეს თვალყურის დევნება ენერგია ხელ ახლა გაძლიერდება მრავალს ქვეითა ბატალიონებითა და ცხენოსან ესკადრონებით. საზღვრის დარაჯებს ნაბრძანები აქვთ იარაღს მიმართონ გაპარულთა წინააღმდეგ ტყვია-წამალი პატრონები არ დაზოგონ ხანგრძლივიმც იყოს ჩვენი ენერგიულ რეიხსკანცლერის არსებობა ჩვენთვის.

საერთოდ, თუ რომელიმე საკითხში საქართველომ და სომხეთმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მათ შეუძლიან მიმართოს მოკავშირეთა სარდლობის არბიტრაჟს.

საქართველოს საკითხი ევროპაში.

(კერძო წერილიდან, რომელიც გამოგზავნილია ლონდონიდან 1918 წლის 11 დეკემბრის თარიღით).

,,საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები, განსაკუთრებით დაშნაკცაკანური მოღვაწეები და რუსის მემარჯვენე პოლიტიკური წრეები აწარმოებენ შეთანხმების სახელმწიფოებში სასტიკ კამპანიას ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ,,დაშნაკცუტიუნის'' პარტიას ევროპის დიდი პოლიტიკურ ცენტრებში აქვს თავისი განყოფილებები და მისი აგენტები შეუჩერებლივ და ენერგიულად ამუშავებენ საზოგადოებრივ აზრს ,,დაშნაკურად'', ამახინჯებენ ამიერ კავკასიის წარსული ამბების აზრს. ასე, მაგალითად, ისინი არ ზოგავენ თავის ძალებს იმისთვის, რომ დაარწმუნონ საზოგადოებრივი აზრი ლონდონსა და პარიზში, რომ. თუ არა ,,ლალატი'' ქართველებისა, სომხები არა თუ შეაჩერებდენ გერმანელების მსვლელობას აღმოსავლეთისაკენ, არამედ ისინი დაამარცხებდენ ოსმალეთს და დაიპყრობდენ მცირე აზიას'',

მაგრამ, მიუხედავად საქართველოს მტრების ენერგიული ცდისა, რომ ცილი დასწამონ მას, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა პოულობს თანაგრძნობას და დახმარებას ინგლისის და საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში. ლონდონში დაარსდა ქართველ-ინგლისური საზოგადოება, რომლის პრეზიდენტად არის ლორდი ბრაისი და რომლის მოღვაწეობა თანაგრძნობას და დახმარებას ჰპოულობს ლონდონის პოლიტიკურ წრეებში.

პარიზში დაარსებულია ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი''. საფრანგეთის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა გარდა, კომიტეტს დიდ დახმარებას უწევს გამოჩენილი ფრანგი სოციალისტი ალბერტ ტომა, ყოფილი მინისტრი მომარაგებისა.

ამას გარდა ლონდონში დაარსებულია სპეციალური ინფორმაციული ბიურო, რომელიც აწვდის ინგლისის და ამერიკის პრესას ნამდვილ ცნობებს კავკასიის ამბების და ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ''.

არეულობა ახალციხეში.

შემდეგი დამატებითი ცნობები გადმოგვცეს სამხედრო სამინისტროში არტაანის ოლქში მომხდარი ამბების გამო:

20 იანვარს, დილის 9 საათზე 500 კაცისაგან შემდგარმა ,,ბანდამ'' სროლა აუტეხა ჩვენს სადარაჯო რაზმს, რომელსაც სოფ. ხონასთან ეკავა მაღლობები. ამავე დროს ,,ბანდამ'' შემოტევა დაიწყო პეტაბაშის მხრიდანაც.

ვინაიდან თავდამსხმელთა რიცხვი ბევრით მეტი იყო, ვიდრე ჩვენი რაზმი, ჩვენმა რაზმმა დაიხია მორელის გზით. რამდენადაც მოწინააღმდეგე წინ მოიწევდა, იმდენად ძალა ემატებოდა, ვინაიდან სოფ. ხონას და მორელის მცხოვრებნი ,,ბანდას'' შეუერთდენ. ჩვენი მცირე რიცხოვანი რაზმი იძულებული იყო დაეხია. ახალციხის რაზმის უფროსმა ზომები მიიღო მაზრაში სხვადასხვა ალაგას მყოფი ჯარების თავის მოსაყრელად, რომ ჩაექრო აჯანყება.

გენ. მაყაშვილის მოხსენებით ფოცხოველების აჯანყება არის ადგილობრივი ბეგების და ომარ ეფენდის მუშაობის შედეგი. ესენი ხმებს ავრცელებენ ხალხში, რომ საქართველოს მთავრობა არტაანის ოლქს სომხებს აძლევს ბორჩალოს მაზრის ნაცვლად, სადაც, მათი სიტყვით, თითქოს ქართველები დამარცხდნენ.

21 იანვარს სამინისტრომ ზომები მიიღო გენ. მაყაშვილის რაზმის გასაძლიერებლად, რომელსაც ებრძანა დაუყონებლივ ზომები მიეღო აჯანყების ჩასაქრობლათ და წესრიგის აღსადგენად. 22 იანვარს გენ. მაყაშვილისგან მიღებულია შემდეგი ცნობა: მცხოვრებნი დამშვიდდენენ, მომხდარი ამბების გამო მწუხარებას გამოსთქვამენ და ბრალ სდებენ ფოცხოველებს. გენ. მაყაშვილმა ბრძანება გასცა, რომ იარაღი ჩააბარონ მას და გასცენ პროვოკატორები.

სამხედრო მოქმედებაში ამ ,,ბანდების'' მეთაურია ხალილ-ბეი.

არჩევნების გარშემო.

საარჩევნო კონვერტების დამზადება.

ცენტრალ საარჩევნო ბიურომ უკვე დაამზადა 700,000 საარჩევნო კონვერტი, სულ უნდა დამზადდეს 1,500,000 ცალი. იანვრის 26 დან ქალაქთა თვითმმართველობებს დაეგზავნებათ კონვერტებთან ერთად კომისიის ბეჭედ დასმული, პირადობის ბარათები.

საარჩევნო ბიულეტენების დაგზავნა პროვინციებში.

ცენტრალ საარჩევნო კომისიამ წინადადება მისცა პარტიებს აცნობოს მას, რამდენი საარჩევნო ბიულეტები უნდა იყოს დაბეჭდილი მათი პარტიისა და სად რამდენი ბიულეტენი უნდა გაიგზავნოს პროვინციაში.

ქალაქის საარჩევნო კომისია.

ქალაქის თვითმართველობის საარჩევნო კომისია დროებით მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის შენობაში.

დამფუძნებელი კრების სიები.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიას აქამდე სულ ცხრა საკანდიდატო სია წარუდგინეს საქართველოს სხვა და სხვა პარტიებმა. ეს სიები შემდეგია: № 1 სოციალ დემოკრატების პარტიისა, რომელშია მოქცეულია კანდიდატი; №2 ნაციონალ-დემოკრატების 113 კანდიდატით, № 3 სოციალ-რევოლიუციონერებისა 113 კანდიდატით, № 4 დაშნაკცაკანებისა; № 5 სოციალ-ფედერალისტებისა 90 კანდიდატით, № 6 მაჰმადიანთა სია 6 კანდიდატით, № 7 რადიკალ-დემოკრატიული პარტიის სიაა; № 8 საქართველოს ეროვნულ პარტიისა და № 9 მემარცხენე სოციალ ფედერალისტების მამშვრალთა პარტიისა, რომელშიაც 37 კანდიდატია მოქცეული. № 10-შოთა რუსთაველის სასახელების ჯგუფისა, № 11—უპარტიოთა კავშირისაა, № 12—ბორჩალოს მაზრის თათრებისაა, № 13—რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ამიერ-კავკასიის საორგანიზაციო კომიტეტისა.

კონვერტები პროვინციისთვის.

დამფუძნებელ კრების ცენტრალ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ა. ლომთათიძემ პროვინციის ქალაქებს დეპეშით მოსთხოვა აცნობონ ამომრჩეველთა რიცხვი, რათა ეხლავე გამოიანგარიშონ რომელ ქალაქს და მაზრის რამდენი საარჩევნო კონვერტი და პირადობის ბარათი გაეგზავნოს.

ბლანკები სომხურად.

ახვერდოვის და დავითხანიანის თავმჯდომარეობით. დაინიშნა განსაკუთრებული კომისია საარჩევნო მასალების საარგმნელად სომხურად.

პირადობის ბარათები.

ცენტრალ საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ ის პირადობის ბარათები, რომლებზედაც მისი ბეჭედი არ იქნება, არ გამოდგება.

საქალაქო არჩევნების სიები.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კანდიდატების სიების პარტიებთა მიერ წარმოდგენილად ქალაქის მოურავისადმი დანიშნულ ვადა ოთხშაბათს, 22 იანვარს, ნახევარ ღვეის 3 საათზე შესრულდა, დანიშნულ დროს ქალაქის მოურავის ამხანაგმა გ. გ. კონიევმა და საბჭოს საამომრჩევნო კომისიის წევრებმა ხელი მოაწერეს შედგენილ ოქმს იმის შესახებ, რომ დანიშნულ ვადაზე წარმოდგენილია სულ 9 საკანდიდატო სია შემდეგ პარტიების და ჯგუფების მიერ: № 1 სია არის სოციალ-დემოკრატების პარტიისა, მასში მოქცეულ არიან სრულიად 90 ხმოსანთა კანდიდატების გვარებით. მე-2 № არის ნაციონალ-დემოკრატების სია, რომელშიაც მოქცეულია 60 კანდიდატი. № 3 სოციალ-რევოლიუციონერების პარტიის სიაა. მასში მოქცეულია სულ 20 კანდიდატი № 4 სია არის რუსეთის სოციალ-დემოკრატების მუშათა პარტიისა მათ სიაში მოუქცევიათ 41 კანდიდატი. № 5 სია არის სოციალ-ფედერალისტების მუშათა პარტიისა და მასში მოქცეულია 25 კანდიტატი. № 6 სია არის მუსულმანთა ეროვნული საბჭოსი, რომელიც ასახელებს სულ 7 კანდიდატს, № 7 სია არის მემარცხენე სოციალ-ფედერალისტ მამშვრალთა პარტიისა, მათ სიაში მოქცეულია 20 კანდიდატი. № 8 სია არის საქართველოს ეროვნულ პარტიისა და მასში მოქცეულია 25 კანდიდატი და უკანასკნელი სია № 9 სახლის პატრონების ჯგუფისაა. მათ სიაში მოუქცევიათ 36 კანდიდატი. ამ ცხრავე საკანდიდატო სიებს ქალაქის მოურავი სამი დღის განმავლობაში გამოაქვეყნებს ,,საქართველოს რესპუბლიკაში''.

სიების შევსების შესახებ.

გუშინ, 24 იანვარს, ქალაქის გამგეობა შეუდგა ქალაქის ხმოსანთა ამომრჩეველების მიერ შემოტანილ განცხადებების განხილვას ქალაქის გამგეობამ ამ განცხადებების განხილვა დღეს უნდა დაამთავროს და თუ 26 ან 27 იანვრის განცხადების მიმცემს პასუხი არ მისცეს ან ქალაქის გამგეობამ უარ ჰყო მათი სიებში მოქცევა, ამ გვარ ამომრჩეველებს ორი დღე ვადა ეძლევა საადმინისტრაციო სასამართლოში საჩივრის შეტანისა.

კომისიების თავმჯდომარენი.

ქალაქის მოურავი ნ. ზ. ელიავა შეუდგა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საუბნო არჩევნები კომისიების თავმჯდომარეების მოსაწვევათ სიის შედგენას. სულ 51 საუბრო საარჩევნო კრება იქნიბა დანიშნული 2 თებერვალს და ამ კრებებთაგან ერთ-ერთ კრებაში თავმჯდომარეთ თითონ ქალაქის მოურავი იქნება და დანარჩენი 50 თავმჯდომარე დამათი მდივნები კი ქალაქის მოურავის მიერ უნდა იყვნენ დანიშნულნი. ყველა უბნის ამ რიგათ დანიშნული თავმჯდომარე თავის მხრივ მოიწვევს პარტიებისაგან თითო წარმომადგენელს უბნის არჩევნების კომისიის წევრებათ.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

მდგომარეობა გერმანიაში.

პოლიციასთან ერთად ბერლის იცავს მოხალისეთა და შეიდემანელთა რაზმები. სპარტაკელთა 9 ბელადი, რომელთა მეთაურობით ხელთ იგდეს ბურჟუაზიული გაზეთები, დააპატიმრეს და კენიგშტატის ციხეში ჩასვეს. ლიბკნეხტის შვილები და ოჯახობა დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს. ბრემენის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ გადასწყვიტა ხელი შეუშალოს დამფუძნებელ კრების არჩევნებს.

ინგლისელები და ოსმალეთის რკინისგზები.

ინგლისელებმა და ფრანგებმა თავის თავზე მიიღეს ბაღდადის რკინის გზასთან ერთად ოსმალეთის რკინის გზის მართველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკების ცნობა.

ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. კოტლასის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. შენკურსკის დასავლეთით რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. მიტავის რაიონში ლატიშელთა წითელ გვარდიელების წინსვლა გრძელდება. დასავლეთის ფრონტი. გროდნენის მიმართულებით მიტავის ჯარმა დაბა პრელოი დაიჭირა სამხრეთის ფრონტი. ნოვოხოპერის რაიონში ჩვენი ჯარი განაგრძობს შეტევას აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა მიხალოვსკაია და პეტროვსკია. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის მიმართულების ჩვენმა ჯარმა ურალის ჩრდილოეთდასავლეთითსოფელი. დაჭირა 22 იან. ჩვენმა ჯარმა ორენბურგი დაიჭირა. უფის მიმართულებით, უფის სამხრეთ-აღმოსავლეთით, არხანგელსკის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლა სწარმოებს. უფის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა ნადეჟდინო და ბიდევო დაიჭირა. კუნგურსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და სოფელი შამშურინა დაიჭირა. სადგურ მენდეევინთან ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძნობს.

მემარჯვენე ესერები და ბოლშევიკები.

მემარჯვენე ესერების წევრთა დელეგაციის პრეზიდიუმმა და დამფუძნებელ კრების წევრთა კომიტეტმა სახალხო არმიას, რომელიც დამფუძნებელ კრების ყოფილმა მომხრეებმა, მიმართეს მოწოდებით. მოწოდება შემდეგი სიტყვებით იწყება: მემარჯვენე ესერების დელეგაციის პრეზიდიუმი და სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთა კომიტეტი მოუწოდებს ყველა სახალხო არმიის ჯარისკაცთ შესწყვიტონ საქალაქო ომი, საბჭოთა მთავრობა ეხლანდელ ისტორიულ მომენტის დროს ერთათ-ერთი რევოლიუციონური მთავრობაა, რომელიც ებრძვის ექსპლოტატორებს და რომელმაც კოლჩავის საწინააღმდეგოთ იარაღი აიღო. დელეგაცია, რომელშიც შედის რაკიტნიკოვი მერნეკოვი, ანტონოვი და ბურევი უფიდან მოსკოვში გაემგზავრა.

მოკავშირენი და რუსეთი.

მოკავშირეთა მთავრობები შიშობს, რომ თუ ბრძოლა გაგრძელდება, იმ შემთხვევაში რუსეთის მთავრობა გააძლიერებს თავის ჯარს და ეს გარემოება საფრთხეში ჩააგდებს ევროპის ზავს.

მოკავშირენი და პოლონეთი.

პადერევსკიმ თხოვნით მიმართა მოკავშირე მთავრობებს მიიღონ პოლონეთი მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ მარშალ ფოშს გაუგზავნა წერილი მიიღოს ზომები პოლონეთის სურსათის დისაკმაყოფილებათ. მოკავშირენი ცდილობენ დროებითი ზავი ჩამოაგდონ პოლონელებსა და უკრაინელებს შორის.

საზავო კონფერენცია.

ნეიტრალურ ქვეყნების დეკლარაცია.

ნეიტრალურ ქვეყნების სამშვიდობო კავშირმა გამოუშვა შემდეგი დეკლარაცია: ,,მთელ ქვეყანას უხარია, რომ დიადი ომი დასრულდა. ყველა ელის, რომ მოახლოებულ ზავს მტკიცე საფუძველი ექნება. პატარა ნეიტრალური სახელმწიფოები დიდ იმედებს ამყარებენ ხალხთა ლიგაზე, რომლის აუცილებლობა აღიარა ყველა მებრძოლ სახელმწიფომ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია, რომ საზავო პროგრამა გატარდეს ცხოვრებაში. ჩვენ მხარს უჭერთ ყველა იმ ცდას, რომელიც გვიახლოვებს დიად მიზნებს, სახელდობრ ნაციონალურ დავის და განიარაღების საკითხის მშვიდობიან გზით გადაჭრას. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხთა ლიგა მიანიჭებს ყველა ერს თვით გამორკვევის უფლებას და ყველა სახელმწიფოს ერთგვარ უფლებას მისცემს ეკონომიურ ცხოვრების განსავითარებლ[illegible]

საზავო კონფერენცია.

საზავო კონფერენციამ, რომელსაც სურს დაეხმაროს რუსეთს, წინადადება მისცა ყველა არსებულ წრეებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ან სურთ მოიპოვონ ავტორიტეტი, ან სამხედრო კონტროლი. რუსეთში, გაგზავნონ პრინცების კუნძულებზე მაგრმა რიღოს ზღვაში, თითომ სამი წარმომადგენელი, სადაც მათ შეხვდება მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლები. ამ შეხვედრის მიზანი რუსეთის სურვილების გამორკვევა და სრული შეთანხმება. რუსეთს შეუძლია გამოიმუშაოს თავისი საკუთარი მიზნები და კეთილ მეზობლური კავშირი დაიჭიროს რუსეთსა და სხვა ქვეყნის ხალხთა შორის.

ალანდიის დელეგაცია კონფერენციაზე.

ალანდიის კუნძულების მცხოვრებლებმა პარიზში გაგზავნეს დელეგაცია, რომელშიაც შედის: კუნძულების მთავარი საბჭოს 2 წევრი და ალანდიის დეპუტატი ფინლიანდიის სეიმში გ. ზუნდბლომი. დელეგაცია შვეციის მთავრობის ნებართვით გაემგზავრა პარიზში.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ ,,სალი კლდე''-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 5.

ქართული ლატარია.

მოქალაქენო, ნუ აგვიანებთ

ბილეთების შეძენას!

,,კლდის'' ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდა ნაწერები:

ბრიგოლ ვეშაპელის

,,ნაც.-დემოკრატიული პარტია.''

დავით ვაჩნაძის

,,მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია''

მიხეილ მაჩაბელის

,,მიწის საკითხი''

შალვა ძარუშიძის

საბღვთო სჯულის სწავლების გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

განცხადება

ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ 14 ამ იანვარს მე დავაარსე კომისია ქალაქ თფილისის მილიციის საქმეების სარევიზიოდ და მილიციის მოხელეთა ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად. კომისიაში შედიან თფილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს ბრალმდებელნი, მათი ამხანაგები, მთავრობის იურისკონსულტი, საქართველოს პარლამენტის წევრნი და სხვები.

ბოროტების ძირშივე აღმოსაფხვნელად და დამნაშავეთა დასასჯელად მოვუწოდებ ყველას, ვინც დაზარალებულა მილიციის მოხელეთა უკანონო მოქმედებით, ან ვისაც რაიმე ცნობები აქვს იმათ მიერ ჩადენილ ბოროტების შესახებ, გაუცხადონ ამის შესახებ ზემოთ აღნიშნულ კომისიას.

მთავრობის თავმჯდომარე — ნ. ჯორდანია

14 იანვარი, 1919 წ.

ქ. თფილისი.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, თანახმად საარჩევნო კანონის მე-13 მუხ., რომ ქალაქის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 2 თებერვალს, დილის 9 საათითან საღამოს ცხრა საათამდე.

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიგდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები, 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომლებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა, 3) ძველი სასურსათო ბარათები, 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მოცემული, დ) მოწაფეთა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მოცემული, თუ უკანასკნელთ აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2—2) სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის გამგეობისა.

საქართველოს მეურნეთა დამიწის მესაკუთრეთა კავშირის საგჯრ.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დალმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. შუადამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.

მესილეთა ამხანაგობა ,,ქართლი''

ამით აცხადებს, რომ მის საწყობებიდან იყიდება დიდძალი სილი ვაგონოგით და ფუთოგით

როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებათათვის ფრიად ხელმისაწდომ ფასებში.

იარმუკაში, მუხრანიანთ სახლი ამხ. ,,ქართლი''.

ე ქ. დ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.

ტელეფ. № 14—09.

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.